## საბჭოთა და ბულგარელ ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩები

14 ივნისს მოსკოვის “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა თბილისის “დინამოსა” და ქალაქ სოფიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ამხანაგური შეხვედრა.

თამაშის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, როდესაც დინამოელთა სწრაფი შეტევა გაგნიძემ გოლით დააგვირგვინა. ამ მარცხის საპასუხოდ სტუმრებმა ენერგიული იერიშები წარმართეს თბილისელთა კარზე და შეძლეს კიდეც ანგარიშის გათანაბრება.

განსაკუთრებით დაძაბული და საინტერესო გამოდგა თამაშის მეორე ნახევარი. 28–ე წუთზე ბულგარელთა ნახევარზე დაინიშნა საჯარიმო გარტყმა. კართან შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა ვარდიმიადიმ და ანგარიში გახადა 2:1.

დარჩენილ დროში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა ანგარიშის შეცვლა. ამრიგად თბილისის “დინამოსა” და სოფიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით.

**15 ივნისი, 1952 წ.**